


1934.

№ 7-8

საქართველოს  
სტალინიზმი



საქართველოს  
სტალინიზმი

# ოქტომბრელი

სოციალ-დემოკრატიული საბავშვო ჟურნალი № 7-8.

ივლისი — აგვისტო

წელი

1934

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა

და განათლების სახ. კომისარიატის ჟურნალი

მცირეწლოვან ბავშვთათვის.

## შინაარსი

	83-
1. გვალვა, — გიორგი კაჭახიძისა . . . . .	1
2. შერიგება, — ი. კარელიშვილისა . . . . .	2
3. ლუტუნები, — ლავრენტი ჭიჭინაძისა . . . . .	3
4. რეზო სოფლად, — ნ. შევლიძისა . . . . .	9
5. ნელის ჩიტუნია, — ცკვიტისა . . . . .	10
6. მაისი, — ქ. მღვიმელისა . . . . .	13
7. გულიკოს ბარათი, — გ. კალანდაძისა . . . . .	13
8. მურიკა და ციცუნია, — ნ. ტყეშელაშვილისა . . . . .	17
9. ჩაბუტკუნებული ბატკნები, — აკაკი გოცირიძისა . . . . .	21
10. მძიმე ამბავი, — ა. მარკოზაშვილისა . . . . .	24
11. ხუთი ერთი პარკიდან. თარგმნილი, — შ. თაბუკაშვილის მიერ . . . . .	24
12. ოინბაზი მხატვარი . . . . .	28
13. როგორ წააყენინა ნუკამ ვირს თავი ქალაქში, — ხარ-სისა . . . . .	30
14. იცი?, — ნ. პ-ისა . . . . .	31
15. რეზო, — ლეოლა თაბუკაშვილისა . . . . .	32
16. ეს რა ცხოველია? . . . . .	ყდაზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი: გიორგი კაჭახიძე.  
პ./მ. მდივნის მაგიერი: ლავრ. ჭიჭინაძე.



როგორ ცხელა! დასკდა მიწა...  
მზის ცეცხლშია მთელი მხარე...  
ამტვერებულ შარაგზებზე  
უწნელდებათ ტვირთი ხარებს.  
სოფელში თუ სოფლის იქით,  
ბევრგან არხი გაიყვანეს...  
დღემდის კიდევ შერჩა ძალა,  
ახლა უკვე უჭირს ყანებს.  
უჭირს ხეხილს...  
ფრთებს მერცხალი  
ძველებურად ველარ არხვეს.  
გაუხუნდა ფერი ბალახს,  
შეეცვალა მინდვრებს სახე.  
ბების გულში,  
ბების თვალწინ  
ყორანივით დადის შიში;  
წუხს და ამბობს: — წელს, ბიჭიკო,  
მოველოდეთ უნდა შიმშილს.  
მახსოვს, ძველად დაშრა ღელე,  
გზა წყაროს წყალს შეუშოკლდა.  
აჰკნა ყანა,  
გახმა ვაზი  
და შიმშილით ბევრი მოკვდა.  
ჩემს ტოლებში დაიღუპა  
ბევრი კარგი, ბევრი კობტა...  
ვიყავ ბავშვი, ეს ამბავი,  
სამწუხაროდ, როცა მოხდა.  
შიშობს ბები,  
ძლიერ შიშობს,  
დაეჩვია ჩუმი სევდა...



1751

მას ოხერი სივარდლახე  
 მუდამ ჰქონდა, მუდამ სდევდა.  
 უკვე მაძლარს, ახლა არ სურს  
 დაუბრუნდეს კუჭყს და შიმშილს...  
 აი რატომ, გვალვის გამო,  
 მოხუცებულს ტანჯავს შიში.  
 მაგრამ ბების ავიწყდება,  
 თუ რას ნიშნავს ძალა ხალხის,  
 თუ რა საქმის დამძლევია  
 ღრმად გაქრილი დიდი არხი.  
 არხს მინდვრების ძარღვად თვლიან,  
 იგი ჩვენში შეიყვარეს.  
 რადგან დაცხა, მალე მორწყავს  
 ფართო მინდვრებს, ფართო ყანებს.  
 მთელი სოფლის ნახირისთვის  
 ბალახს მისცემს ფერს და სისქეს.  
 თითქოს წვიმა დასცემოდეს,  
 აყვავდება ყანაც ისე.  
 აყვავდება ბაღი, ეზო,  
 მცენარეთა ყველა ჯიშში...  
 როცა ხალხი ფხიზელია,  
 მოქრილი აქვს გზები სიმშილს.

გიორგი კაჭხიძე.



# შერიგება

რათ აჯავრებ შენ ჩემს ფისოს,  
 ყურშავ საძაგელო!  
 იქნებ გინდა, რომ ეს ყური  
 უფრო დაგიგრძელო!

მოდით ჩქარა ორივენი,  
 უნდა შეგარიგოთ,  
 დიდიხნიდან მაჩხუბრები  
 მშურად დაგარიგოთ.

ნუ ჯიუტობთ, გაუწოდეთ  
 თქვენ ერთმანეთს თათი...  
 ერთმანეთიც გადაკოცნეთ,  
 სახლში ტკბილად წადით.

შო და ასე, აღარ გნახოთ,  
 რომ გეჩხუბოთ თქვენა.  
 მოთმინება იქონიეთ,  
 დააყენეთ ენა.

ი. კარელიშვილი.



ღუსუნაუბი

ზაფხულია.

პაპანაქება სიცხე ჩამოწვა და დედამიწას აღმური ასდის.  
 ბროლიას უშველეგელი ენა გადმოუგლია და ისე ქოქი-  
 ნობს. ის უცებ გაიშხვართება ჩრდილში, თვალებს დახუჭავს  
 და ფერდები ერთმანეთზე ასკდება. ბროლიას დააჯდება წთუ  
 არა ბუზი, მაშინვე წამოხტება, მეორე ხის ჩრდილამდის სულ  
 ძუნძულით გაირბენს და ისევ ხის ძირში მიეგდება.

სიცხეს ქათმებიც შეუშინებია.

ისინი ხეებს ქვეშ შეყუყულან.

დედალორი ლეშვიით აგღია წუმპეში და ირგვლივ პატა-  
 რა ღუსუნები შემოსევია. ისინიც დედას ბაძავენ, გორაობენ  
 წუმპეში და პატარა ტუჩებით დედის ძუძუებს ბურჩნიან.

ყველა ღუსუნა ერთიმეორეზე ლამაზია.

ისინი თეთრი შოლტა ბურაკებია, მაგრამ წუმპეში გადა-  
 გორდებიან თუ არა, შავად ამოისვრებიან და მერე მხოლოდ  
 წითელი დინგებიღა უჩანთ.

გელას ძალიან უყვარს შოლტა ღუტუნები.  
დინახავს თუ არა წუმბეში გასვრილ ბურაკებს, მს. მანძინ...  
ვე გამოუდგება და იქვე მახლობელ მდინარეში ჩარტყვს. იქ  
ყველანი ერთად ბანაობენ.

ღუტუნების დაბანა გელას თავის ვალდებულებად მიაჩნია.  
მან ახლაც დედასთან მიირბინა.

დედა ჩრდილში იჯდა და ბამბას ართავდა.

— დედა, დედა! — გელა კალთაში ჩაუჯდა და რთვა შეა-  
წყვეტინა:



— რა გინდა, შვილო, დამაცადე, იქნებ რამე გავაკეთო, —  
უპასუხა დედამ. მან თითისტარი ცალ ხელში დაიკავა და მეო-  
რე ხელი თავზე გადაუსვა, მოუაღერსა.

— ჩემ ღუტუნია გოწიწებს წყალში წავეკავ... შეხე, შეხე,  
როგორ გასვრილან წუმბეში! — ეხვეწებოდა დედას და თითს  
ღუტუნებისკენ აშვერდა.

დედამ გაიცინა.

მან გელას კიდევ უფრო სიყვარულითა და აღერსიანად  
გადაუსვა ხელი, ბოლოს კი ასე უპასუხა:

— ლორებს არ შეშვენის სუფთად სიარული, დაბან და  
ისევ წუმბეში ჩაწვებიან. მაგათ წუმბე ყველაფერს ურჩევნიათ.

— მაშ რა ვუყო, აღარ დავბანო?

— წარეკე, მაგრამ არაფერი გააფუქო, ჭკვიანად იყავი.  
გელას გაეხარდა დედის თანხმობა.

ის წამოხტა, ხელში გრძელი სახრე დაიჭირა და ქაქანიტ  
შეუტია წუმბეში ზანტად გამოლოტივლ დედალორს.

გელამ მას სახრე შემოუწყაპუნა.

ის უდარდელად წამოდგა ზეზე, უკანა ნაწილი კი ისევ  
წუმბეში ეგდო. მას თითქოს ენანებოდა, რომ თავის საყვარელ  
წუმბეს აშორებდნენ.

დედალორის ხორხოტზე პატარა ღუტუნები მის წინ მო-  
გროვდნენ და დინგზე ეაღერებოდნენ.

— ადი, შე ზარმაცო, შენა! — შეუტია გელამ ფიცხლად.

ბოლოს დედალორი იძულებული გახდა წუმბედან ფეხები  
ამოედგა და თავისი შვილებიკ გვერდით მოეგროვებია.

ღუტუნები დედის ენას შეჩვეული არიან და მის ირ-  
გვლივ მოგროვდნენ.

დედალორი ღრუტუნებდა.

მის ღრუტუნში უკმაყოფილება იხატებოდა, ალბათ, გე-  
ლას თუ ემღუროდა.

## II

შუადღის მცხუნვარე მზე ისევ კაპასობს.

ყველა შინაური ცხოველი ჩრდილებში არიან. ისინი სიცი-  
ხეს ემალებიან და გარედ გამოსვლას არ აპირებენ.



თეთრპერანგა გელა მხიარულია.

მას ღუტუნებთან ისეთი საუბარი აქვს გამართული, თით-  
ქოს მისი ყოველი სიტყვა ესმოდეს მათ.

დედალორს ჩამოთხელებული მუცელი ტყლაპივით აქვს ჩამოკიდებული. ის ნელა მიბაჯბაჯებს და ძუძუები ოთხ თესს შორის აქეთ-იქით გარბი-გამორბის. მიდის დინჯად და უფრო სობას მართლა იმჩნევს. პატარა ლუტუნები კი ღობის ძირებში დაძვრებიან, ნახვენ რალაცას, გაწეწკავენ და ჩააკრატუნებენ.

გელა სიყვარულით მისძახის თავის ლუტუნებს.

— ჭამე, ლუტუნია... აწაწუნე... აწაწუნე. გასუქდები და კარგი ხორცი გექნება. — მათ არ ესმოდათ გელას მუქარა. ვინ იცის, რომ გავგონათ, იქნებ ყველანი გაიქც-გამოიქცეოდნენ, დაიშალებოდნენ, მაგრამ ახლა გელა მოფერებით რომ დაიძახებს:

— ხანა... ხანა... ხანა...

ისინი მაშინვე მიხვდებიან გელას სურვილს და მიწაზე გასაწოლად მოემზადებიან. გელას უხარია, რომ ლუტუნებმა მისი ენა ისწავლეს, გაიწვდის თუ არა ხელს, ისინი მაშინვე წამოწევიან.

ახლა დედალორი რომ მიდის მდინარისაკენ, მას პატარა ლუტუნებიც მისდევენ უკან.

ის მდინარემდის ისეთი ნელი, დინჯი ღრუტუნით მიდიოდა, თითქოს მის ღრუტუნში კენესა ისმოდა. დედალორს თითქოს არ უნდოდა ანკარა მდინარეში ჩაწოლა.

გელას ვითომ მისი ღრუტუნი ესმოდა და გულის მესაიდუმლოესავით ეპასუხებოდა:

— რა გაღრუტუნებს, რა გიწუხებს მაგ გულს? ვითომ არც კი გინდა მდინარეში ჩაწოლა. მაგრამ ჩახვალ წყალში და მერე ამოსვლა დაგეზარება.

— ღრუტ... ღრუტ... ღრუტ, — გაიმეორა ისევ დედალორმა. მის ღრუტუნში თითქოს ასე ისმოდა: „მართალია, მაგრამ სიარული მეზარება“.

— შენ გეზარება; მაგრამ მე ვიცი, რა უფრო მოგიხდება. ისინი სანამ მდინარემდის ჩავიდოდნენ გზაში სულ ასეთი ლაპარაკით მიდიოდნენ. კაცს ეგონებოდა, რომ ისინი ერთიმეორის ენას ხვდებოდნენ.

გელას ამ დროს ერთი უცხო კაცი შემოეყარა.

მგზავრს მოეწონა მათრახებივით შოლტა ბურაკები. იგი გზის ცალ კიდეზე ჩამოღდა და სიამოვნებით დაუწყო ცქერა პატარა გელასა და მის ლუტუნებს.

— პატარა ბიჭო, ვინ მოგცა ამდენი ბურაკი? — სიცილით შეეკითხა მგზავრი.





— მამამ, — უპასუხა გელამ.  
— სად არის, მერე, ახლა მამაშენი?

— მამაჩემი კოლექტივის წევრია და ახლა სიმინდს მარ-  
გლიან, მე კი ჩემი პატარა ლუტუნები უნდა დავბანო.

მგზავრმა კოლექტივის სახელი რომ გაიგონა, გელას ღიმი-  
ლით მიძარტა:

— ეგ ღორები, შვილო, შენი კი არა, კოლექტივის ყო-  
ფილა.

— რას ამბობ, ბიძია, შენ საიდან გაიგე, რომ კოლექტივის  
იქნება. ჩვენ კოლექტივში მარტო მიწები, ხარები და გუთნებია  
გაერთიანებული, ამდენი ღორი, ქათამი და თითო ძროხა ჩვე-  
ნებს ყველას ჰყავს.

მგზავრს მოეწონა გელას პასუხი.



— კაი ბიჭი ყოფილხარ და კარგად მოუარე შენს ღუტუ-  
ნიებს. რომ გაიზარდონ, დაკალი და პირი ჩაიგემრიელე.

გელას ამ ლაპარაკში ცოტა შემოაგვიანდა და ღუტუნები  
მოსახვევში თვალთაგან მოეფარა. ის სირბილით გაექანა, ღუ-  
ტუნებს მიეწია და წყალში ჩარეკა.

III

პირველად დედაღორი ჩავიდა მდინარეში.

ის ფეხაკრეფით შევიდა რამდენიმე ნაბიჯზე წყალში,  
მერე შეჩერდა, უკანა ფეხები მოკიცა და წყალში ჩაჯდა. პატა-

რა ლუტუნები ერთხანს ვერ ბედავდენ დედასთან მისვლას და მდინარის ნაპირზე აქეთ-იქით გარბი-გამორბოდენ.



დედა გამომწვევი ხმით ღრუტუნებდა.  
ის თითქოს ეპატიებოდა:

— მოდი, სუფთა წყალია და გაგრილდითო.

პატარა ლუტუნები შეიძლება კიდევ დიდხანს არ შესულიყვენ წყალში, მაგრამ გელამ შემოუარა თავი. პირველად ერთი გადახტა და მერე ყველა მიჰყვა მას.

გელამ გაიხადა ტანისამოსი და წუმპით გაშავებული ღორისკენ წავიდა. ღორი რომ არ დამფრთხალიყო, ამიტომ ის მოფერებით მიუახლოვდა.

— ხანა... ხანა... ხანა... ჩემი ლუტუნი, დიდი ლუტუნი. ასეთი აღერსიანი სიტყვით მივიდა და სრულიად შეუმჩნევლად შეახო ხელი. ღორი შეკრთა, შეიშმუშნა, მაგრამ გაქცევა მაინც არ დაუპირებია.

დედაღორს დინჯად და სერიოზულად ეკავა თავი, შვილები კი მის დინგთან იყვნენ მოგროვილი და ხოთხოთობდენ, თითქოს უნდოდათ დიდი ღორები გამოჩენილიყვნენ.



გელამ იმდენი უტრიალა მას, რომ შავი ტალახი გააშორა, წყლით გაუბანელი თვალებიც აღარ დაუტოვა. დედაღორს რომ მორჩა, მერე პატარა ლუტუნები დაათეთრა.

გელა მორჩა ლუტუნების ბანას და ბოლოს სიხარულით უთხრა მათ:

— თქვენ ხომ მოვაშორეთ წვირე, ახლა ერთი მეც უნდა გავიბანაო.

ამის შემდეგ გელა იქითკენ გაიქცა, საითაც წყალი ცოტა უფრო ღრმა იყო. ლუტუნები თავის ადგილას დარჩენ, გელა კი წყალში შეცურდა.



მას არ მოეწონა ცალკე ბანაობა და მახლობლად მოცუ-  
რავე ბავშვებს შეუერთდა. მათ ერთი აურზაური და ყიჟინა  
ჰქონდათ. ისინი ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ.

ლუტუნებს წყალში ყოფნა მოწყინდათ.

დედალორი ნელა წამოდგა ზეზე და შინისკენ გაემართა.  
ყველაზე უწინ ერთმა ბავშვმა დაინახა და მან მაშინვე მიახარა  
გელას:

— შენი ლუტუნები გაიპარენ.


გელა უცებ ამოვიდა მდინარიდან. მან მარტო პერანგი  
გადაიცვა, დანარჩენი ტანისამოსი დაახვია, ხელში დაიკავა და  
ლუტუნებს გამოედევნა...

ლაფრ. ჰიქინაძე.

## რეზო სოფლად


აუსრულდა რეზოს ნატვრა,  
გახალისდა მისი გული,  
დღეს ის სოფლის სტუმარია,  
მიდის ასე ეს ზაფხული.  
ველ-მინდვრებში დანავარდობს,  
სად ზაფხულის მზე კაშკაშებს,  
შეუყვარდა მწვანე მთები,  
შეეთვისა სოფლის ბავშვებს.  
რაც აქ ნახა წელს რეზიკომ,  
არ უნახავს თავის დღეში,  
ტოლ-ბიჭებთან დადის მინდვრად,  
ხან სოკოებს ძებნის ტყეში.  
დილით, როცა ფრინველები  
ფრთხილებენ ტკბილი ხმებით,  
რეზო უკვე მდინარეში  
თევზებს იჭერს ანკესებით.  
ზოგჯერ ძიას თან მიჰყვება  
კოლექტივის ვრცელ ყანებში  
და საღამოს კვლავ ბანაობს  
მთის ანკარა მდინარეში.  
შეასრულა დავალება,  
დიდ რვეულში იწერს ამბებს  
და ქალაქში როცა ჩავა  
მას გააცნობს ამბანაგებს.

6. შევლიძე.



# ნელს ჩაჭუნია

პაწია, ლურჯად შეღებილი მავთულის სახლი აგერ რამდენიმე დღეა ობლად კიდია კედელზე. არც მოუსვენარი ფრთხილი და არც ჭიკჭიკი იქიდან აღარ მოისმოდა. ყრუდ და მუნჯად ეკიდა აივანზე და ზოგჯერ კედელზე შეხვეული სუროს ფოთლები ნიავის დაქროლვაზე ჩუმად რაღასაც ჩურჩულებდენ. პატარა ნელი ხშირად გაუვლიდა გვერდით, დაობლებულ და დადუმებულ გალიას შეხედავდა და ერთს ისეთს ამოიოხრებდა, თითქოს ქვეყნის დარდი იმას შემოსწოლიყო გულზე.




— ვინ იცის, ახლა სად არის ჩემი ლამაზი ჩიტუნია! ვინ იცის, რომელ ტყეში მღერის! ან იქნებ ჩვენს მუშტიდშიაც არის, ან ბოტანიკურ ბაღში თეთრფოთლებიან დიდ ხეზე ზის თავის დედით და ტკბილად მღერიან, რომ ჩვენგან თავი დააღწიეს და თავისუფლად დანავარდობენ.

მერე, ახლა რა ლამაზია ირგვლივ ყველაფერი! ხშირი, მწვანე ყანები, ვარდყვავილები, პეპლები, ფუტკრები... ეხ, ეხ! ჩემო საყვარელო ჩიტუნია, რა ლამაზი იყავ და რარიგ მღერო!

ნელიმ დღესაც ისევე მწარე გრძნობით შეხედა გალიას, პატარა ხანს ჩაფიქრდა და სახლში შეტრიალდა. მშვენიერი მზიანი დილა იყო და იმათ ოთახში კი ბნელოდა. ჩიტები გარედ მზიარულად მღეროიან, და ნელი კი ელექტროს სინათლეზე საყვარელ ჩიტზე ფიქრობს.

გასაკვირველი იყო, რომ ჩიტუნია დიდხანს იყო მოწყენილი. მაშინ უფრო მოიწყინა, როცა აკაციები თეთრი მტევნებით გაივსო, ფუტკრები უფრო ძლიერ ზუზუნებდნენ და აკაციის ყვავილის სუნი მათ აივანზე უხეად დატრიალდა.

ერთ დღეს ჩიტუნია ამ არც ფეტვი ქაშა და არც წყალი დალია. გალიის ხარახაზე იჯდა ჩუმად და ლურჯ ცას გაყურებდა.



მზე ჯერ არ ამოსულიყო, დილის სიო დაქროდა და სუროს ფოთლებს ცელქად აშრიალებდა. უცებ მძინარე ნელის საშინელი ჭყვილი და გალიების მავთულის წკრიალი შემოესმა. ნელის ისედაც დარდი ჰქონდა, წუხელის აივნის თანჯარა არ ჩაეხურათ და კატისა ეშინოდა ვალია ძირს არ ჩამომიგდოს და არ შემიქამოსო.

ჩიტის ჭყვიპინი რომ შეესმა, უმაღლ თვალი გააჭყიტა, სწრაფად წამოხტა და პერანგისამარა მივარდა თანჯარას და რა დაინახა! იმის მსგავსი დიდი ჩიტი საიდგანლაც მოტრეწილიყო და

გალიის სახურავზე შემჯდარიყო. ნისკარტი მავთულეებში ჩაე-  
ყო და პაწია ტყვე ჩიტუნისა უაღერსებდა.

ნელის ჩიტუნია სიხარულით ჭყლოპინებდა, ნისკარტით  
ნისკარტს უჭერდა, თითქოს კოცნისო. დედაჩიტი ხან აფრინ-  
დებოდა გალიას, ხან სხვა წხრიდან მოუვლიდა. შემდეგ, რომ  
დაიღლებოდა ისევ სახურავზე ჯდებოდა და საშინელი ხმით  
ჩასჟყიოდა.

ნელი მიხვდა, რომ ეს მისი ჩიტუნისა დედა იყო და გული  
ეტკინა. ნელი დედის საწოლისაკენ გაქანდა.



— დედა, დედა, შეხედე,  
დედიკო, ჩვენი ჩიტუნისათვის  
თავის დედას აქაც მოუგნია!  
შეხე, როგორ ჭყპინებს! შენი  
თვლით მაინც დაინახე, თავს  
როგორ დატრიალებს! საწყლები,  
ვინ იცის ორივენი ტირიან!

ნელი ლეღავდა, მეტი გრძნო-  
ბით თრთოდა და ძლიერ უკვირ-

და, რომ ბაზარში ნაყიდი ჩიტუნია დედამ მაინც მოძებნა და  
ახლა გალიას ებრძოდა, რომ შეიღლი როგორმე გაენთავისუფ-  
ლებოდა.

გალია ჩამოიღეს. შეშინებული დედაჩიტი აკაციის ხეზე  
შეჯდა და საშინელ ჭყპინს მოჰყვა. მის ხმაზე სახლის სახუ-  
რავზე მსხდომმა ბელურებმაც ხმა გაწყვიტეს და შორიანლო  
ფრთხიალი იწყეს, თითქოს გამწარებულ დედას თანაუგრძეს და  
მის შეველას ლამობენო.

ნელიმ ჩიტუნისა გალიის კარი გაუღო. ფრინველმა დაი-  
ფრთხილა და ფიცხლავ ჰაერში შეინავარდა ჭყვილით. დედა-  
ჩიტი შურდულივით დაედევნა უკან. ნელი იდგა და დაძალუპით  
ჩამოსდიოდა ცრემლები. თუმცა ჩიტუნისა ბედნიერება კი უხა-  
როდა, ძაგრამ კარებლია, ობლად-დატოვებული გალია გულს  
წყვეტდა.

ექვთი.

ოჰ, რა კარგი რამა ხარ  
შენ, მაისო, ლამაზო,  
ყვავილებით მორთულო,  
მერცხალივით მალხაზო!

აღარ არის ზამთარი,  
ამოღზინდენ იანი,  
და თოვლქუაპის მაგივრად  
ღარი დაღვა მზიანი.

შენს მშვენიერ წალკოტში  
გულმა გაინავარდა,  
როგორც მინდვრის წიაღში,  
ყველა გაიავარდა.

ოჰ, რა კარგი რამა ხარ  
შენ, მაისო, ლამაზო,  
ყვავილებით მორთულო,  
მერცხალივით მალხაზო!

ქ. მღვიმელი.



# ბულივოს ბარათი

ჩემო კარგო ამხანაგებო — ბაბო, გოგიტა და ლილი!

არ იფიქროთ, რომ მე თქვენ დაგივიწყეთ. არა, ახლაც ისევე მახსოვხართ, როგორც მაშინ, მატარებლით სოფლისაკენ რომ მოვდიოდი და თქვენ სადგურზე გამომაცილებთ, მატარებელი რომ დაიძრა და თქვენ სადგურის ბაქანიდან თეთრ ცხვირსახოცებს მიქნევდით, სანამ თვალიდან არ მოვეფარეთ. ახლა ხელში რომ კალამი ავიღე და აქაური ამბების მოწერა გადავწყვიტე, უცებ შეფთქარდი. რამდენი ახალი ამბის თხრობა მინდა თქვენთვის და თან მეშინია, ვაი თუ ამ პატარა წერილში ვერ ჩავტოვო! არა უშავს, მოკლედ გეტყვით.


15 ივნისს სოფელში რომ მოვედი, ახალი გათენებული იყო. ბებია კეკელა სახლის უკან ქრელ ძროხას წველიდა. რძით ტუჩგაქაფული პატარა ნიშა, იქვე კობიტზე რომ მიეზა, ვერ ისვენებდა და კულაპრეხილი დედის ძუძუებისაკენ იწევდა. მოულოდნელად წავადექი თავზე.

— დილა მშვიდობისა, ჩემო ბებო! — შეკრთა, კინალამ ქოთანს ხელიდან გაუვარდა, წველას თავი მიანება...

— შენ გენაცვალე, ჩემო ცელქო გოგო! — ხელები გაშალა და გულში ჩამიკრა. მეც ყელზე მოვეხვიე და დანაოქებულნი თეთრი ლოყები გადავუკოცნე.

— მოიცა, შე გიჟო, ჯერ პირი არ დამიბანია, — მომიცილა და შემდეგ მამაჩემს მიესალმა დარბაისლურად.

რომ იცოდეთ, რა საყვარელი მოხუცია ბებია კეკელა, თქვენც უსათუოდ ჩემსავით შეგიყვარდებით. პატარა ტანის ქალია, სიბერეს ბეჭებში მოუხზია, მაგრამ საქმეს ვაჟკაცის-ოდენას აკეთებს, არაფერზე გული არ მოუვა, და კიდევ რომ ეწყინოს რამე, წყენას მაინც ვერ შეატყობთ. ვაციანების დრო კი საყვარლად ხითხითებს. იმის სიარულს რომ დავაკვირდი, შესაფერი სახელი უცებ მოვუნახე: კუნკულა ბებია დავარქვი.



ჩემი ჩამოსვლის შემდეგ თენახევარი გავიდა და, ალბად თქვენც გაკვირვებით მკითხავთ, — ამ ხნის განმავლობაში მარტო ბებიაშენს უჯექი სახლში და სასკოლო დავალებებს არ ასრულებდიო? როგორ არა. მართალია, ბებიას უნდოდა სულ მასთან ვყოფილიყავ, მაგრამ მაშინ ხომ დღიურები დაუწერელი



დამრჩებოდა და ვერც მწერებისა და ბალახების კოლექციას  
შეეგაროვებდი.



დღიურების წერა ჩამოსვლისთანავე დავიწყე და ახლაც  
განვაგრძნობ: კოლექციას ვაგროვებ. დილით, როცა მზე ბწყალს  
კრავს, მეც ზეზე ვარ და თუნგულით ხელში წყაროსაკენ მივე-  
ქანები პირის დასაბანად. შემდეგ სოფლის პატარა გოგო-ბი-  
ჭებს დაეუძახებ და ქალაქის ამბებს უყუყუბი. მზე რომ დააქერს  
მე მაინც სახლში არ შევდივარ, სადღაც ორღობეში ყვითელ-  
ფრთიან პეპელას მოვკრავ თვალს და გამოვენთები, თან მოვ-  
ძახი: „შენ ყვითელი, მე წითელი, შენ ყვითელი, მე წითელი“,  
და ასე ძახილით ვსდევ, სანამ არ დავიქერ. შემდეგ მასაც ქრელ  
პეპელებთან და მრავალგვარ ყვავილებთან და ფოთლებთან  
ერთად რვეულში ვაკრავ და ქალაქში წამოსაღებად ვამზადებ.  
როცა დავიღობი და მომშვივდება, კვლავ ბებიას მივაშურებ,  
რომელიც ან ინდოურის ქუკებს აქმევს ფხალს, ან ძროხას უყ-  
რის ვენახიდან ამოტანილ ალერდს და ან სადილს ამზადებს.  
ტყვილად კი იშვიათად გაჩერდება. თუ გაჩერდა და მე ახლოს  
ვარ, მაინც არ მოვასვენებ, კალთაში ჩაუვარდები, ვეზვეწები:

— ბებიკო, ჩემო ბებიკო, აი, ხედავ, ლოყაზე სირსელი  
გამიჩნდა, შემილოცე, — ვეუბნები და უჩვენებ მზისაგან აქეჭილ  
კანს. მან იცის, რომ არავითარი სირსელი არ გამჩენია, მაგრამ  
ისიც იცის, რომ მე მის ლოცვას ყურადღებით ვისმენ, და დაი-  
წყებს:

„სირსელი ხნადა ყანასა,  
ნაფუზვარსა და ქალასა,  
მგელი ება ხარადა,  
გველი აბეურადა,  
აბეური უწყდებოდა,  
სირსელს ძირი უხმებოდა“.

დაათავებს, გადამკოცნის და გამიშვებს. მე ვკისკისებ და  
მიკვირს, რომ ბებიას სჯერა ლოცვებით ავადმყოფის განკურ-  
ნება.

ამ ბოლო დროს ბაბუა ანთიმოზმაც შემაყვარა თავი. თევზა-  
ობიდან რომ დაბრუნდება, სველ ბადეს გასაშრობად გაკიდებს,  
სათევზე კალათს ბებიას გადასცემს. — ეს თევზი მოხარშე და  
ისრიმ მაცვალში ჩადეო, — ეტყვის და მერე მე მომიბრუნდება,  
სკამლოგინზე ჩამოჯდება, მუხლზე დამისვამს და თან ჩამჩითჩი-  
ფებს:

„აჩუ, აჩუ, ცხენო,  
შე კუდ მოსაქრელო,  
უნაგირი ვერ გიშოვე,  
რითი გაგაქენო!“

ასე ვატარებ ზაფხულს. ზაფხული რომ არ იყოს, ასეთ დროს ვერ გავატარებდი, რადგან გაზაფხულზე და შემოდგომაზე სოფელში გახურებული მუშაობაა და ჩემ გავსართობად ვის ეცლებოდა, მით უმეტეს, რომ ბაბუაჩემის ოჯახი კოლექტივშია შესული. საერთო საქმეს დროზე უნდა მხარში ამოდგომა და მიყოლა. ყანების თოხნა გათავებულია და სიმინდის ტეხა კი ჯერ ნაადრევია.

როცა დაღამდება და ალუჩის ტოტებიდან მთვარე ჩამოიხედავს, ჩვენ ეზოში დადგმულ სკამლოგინზე ვზივართ და ტკბილად ვსაუბრობთ: იქვე მსხლის ძირას, ფისო დასდევს ლანდებს. ჯერ გაიტვრინება, შემდეგ ისკუბებს, თავზე დაახტება და თითებში რომ არაფერი შერჩება, ისევ ახალი შეტევისთვის ემზადება.



ამ სოფლის გოგო-ბიჭებმა კი მართლა შემაყვარეს თავი. რომ არ ვიცი როგორ დავშორდე! ხანდახან ჩამომივლიან და მდინარეზე წავალთ საბანაოდ. ცურვა არ ვიცოდი და ამით მასწავლეს. საღამოობით, ხანდახან ჩვენ ეზოში შევიკრიბებით და წარმოდგენებს ვმართავთ. მე ვხელმძღვანელობ: ზოგს ლექსებს წავაკითხებ, ზოგს მოხუცი ქალის როლს ვათამაშებ და ზოგს კიდევ რას. ჩვენ წარმოდგენას ხშირად ათამდის მაყურებელი ესწრება. ესენი არიან მეზობლის ქალები და

მათში სახელგანთქმული ბიცოლა დესპინე. ლექსს რომ წავიკითხავთ ოქტომბრელების ყოფაცხოვრებაზე, ყველას სახე უბრწყინდება და ტაშს გვიკრავენ.

მართლა, ყურნალი „ოქტომბრელი“ არ ჰქონდათ აქაურ ბავშვებს გამოწერილი და ყველას გამოვაწერიე. ორ-ორი ნო-

მერი უკვე მიიღეს და ძლიერ მოეწონათ. ძლიერ კარგი ბავშვები არიან.




დრომ ისე შეუმჩნევლად გაიბრინა, რომ შევეკრთი, გუშინ დილით მამაჩემის წერილი მივიღე. ამ სამ კვირაში სწავლა დაიწყება, ჩამოვალ და წამოგიყვანო. უნდა წამოვიდე, აბა რაკუნა? სწავლა ყველაფერს მირჩევნია. ასეა ჩემი საქმე. მელოდეთ ამ მოკლე ხანში. მოვდივარ და თან სამი რამ მომაქვს:

მელნით სუფთად გადაწერილი დღიურები, მდიდარი კოლექცია და სოფლის სიყვარული.

გკოცნი ყველა მეგობრებს.  
გულიკო.

გ. კალანდაძე.



მურიკა ღამე დარაჯობით დაღლილი კიბესთან მიწვა და ჩათვლიდა.

ამ დროს ციცუნია, ქათმის ბარკლით პირში, ნელის ნაბიჯით წინ ჩამოუარა, მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა და გაიქცა. მურიკას სუნი ეცა, თვალი გაახილა, დაინახა ციცუნიას რალაცა მიაქვსო და გამოეკიდა. ციცუნია ბეზე აბტომა მოასწრო. მურიკას გული მოუვიდა.


— ქურდო, არამხადავ! ისარგებლე, რომ დიასახლისი გარედ გავიდა, მეც ჩამეთვლიდა?! მოიპარე, ყაჩაღო?! — იღანძღებოდა მურიკა უშვერი ენით.

ციცუნია ხმა არ გასცა, შეკაშა ქათმის ბარკალი, ძვლები კი გადმოყარა.

— მიირთვი, ჩემო მურიკა, შენ ჩვეული ხარ ნასუფრალს. მუშტი მოუღერა და ენა გამოიუყო. მურიკა მთლად გაცეცხლდა, რამდენიმეჯერ შებტა ზევით, კინაღამ დაიქირა. ციცუნიას შეეშინდა არ დამიჭიროსო, მაღალ შტოზე აირბინა, შიშისაგან მოიკრუნჩხა, ხმას ვეღარ იღებდა. მურიკა განაგრძობდა

ბრაზობას, რამდენიმეჯერ კიდევ შეხტა, მაგრამ დაილაღა და შეჩერდა.

— დაიცა, აქედან ფეხს არ მოვიცლი. სულ მანდ ნომ არ იქნები! ჩამოხვალ და შავ დღეს დაგაყენებ. ჩემ ცხვირწინ ნაქურდალი გააპარე და ახლა დამცინი? მაგას არ მოგიტევენ, დაგალრჩობ! შენ მოიპარე და იქნებ მე დამაბრალონ კიდევაც, ბრაზისაგან სულ ცოფს ყრიდა მურიკა.



— ნუ გეშინია, — ზემოდან ჩამოძახა ციცუნია. — მე ის მალლიდან ჩამოვიღე, სადაც შენ, ძალიანაც რომ ცდილიყავ, ვერ მისწვდებოდი. მაინც შენზე არ ეკვიანობენ. ყველამ იცის, რომ მე საუკეთესო ლუკმა მიყვარს, როგორც თეფშებს საქმლით დააღაგებენ, ჩამოუვლი, საუკეთესოს ამოვარჩევ, თუ მაშინ ვერ მოვახერხებ, მერე წავიღებ. ერთხელ დიდ ხიფათში გავები, ჩვენი პატრონის ბებიას მშვენიერი საქმელი გაეკეთებია, მკიდროდ ზემოდან მეორე თეფში დაეხურათ, ვუტრიალე ირგვლივ, მაგრამ ვერას გაეხდი. გემრიელი სუნი ცხვირში მცემდა, ნერწყვი პირში მომდიოდა. ზემოთა ჯამი ნელა გადავწიე. იმ საცეცხლემ ბრაგვანი მოადინა ჩატაკზე, მთლად დაიმსხვრა. შემეშინდა. უცებ, ბებიაც იქ გაჩნდა, კუდში ხელით მწვდა, ჯოხით ლაზათიანად მიმბეგვა, მერე ხელი გამიშვა, იქ მდულარე ჰქონდა და მომაყოლა. უკანა ზურგი დამეწვა. ერთ კვირას სახურავზე ვიყავი, იცოცხლე, იმ გაჯავრებულ გულზე თავიგებს შავი დღე დავაყენე! დამწვარი ადგილი დღესაც ტიტველია. მაშინ დავიფიცე, მე ციცუნია არ ვყოფილვარ, თუ შენ ეს გაპატიე მეთქი.

— აი, შე არამზადავ — მიუგო მურიკამ.

— შენ ძალღი ხარ, მონური სული გიდგია, ყოველ დამ-  
ციტრებას იტან. მე ვერ მოუტევებ, ეს იცოდენ მათ, — მიუტე  
ციტუნია.

— შურისმაძიებელი ხარ, შე ავაზაკო! ბევრად ჩემზე მეტს  
გეფერებთან, განებივრებენ. ხედავ, ყელზე აბრეშუმის საყულო  
გაგიკეთეს, მაგრამ სიკეთის დაფასება არ იცი. ჩვენ კი სხვა ვართ.  
მახსოვს, ერთხელ ჩემი პატრონი ყორანათი სხვაგან წავიდა,  
მეც გავყვეი. დაბრუნება გვიან მოგვიხდა. ტყის მახლობლად  
რომ ჩამოვიარეთ, მშიერი მგლების ხროვა გამოვარდა, დაგვე-  
დევნა, შიშით გული დაგვისკდა, გაეჭანდით, რაც ძალა და  
ლონე გექონდა. უცებ პატრონმა ცხენს აღვირი წახსნა, ამ დროს  
ხესთან მივირბინეთ, პატრონმა ხის ტოტს ხელი სტაცა,  
ზემოთ მოექცა. ყორანა გა-  
ვარდა, მას სამი მგელი და-  
ედევნა, სხვებმა ჩვენკენ გა-  
მოსწიეს, ვტიროდი, ვებე-  
წებოდი პატრონს, მიშველე  
მეთქი. როგორ მოხდა, არ  
ვიცი: იგრიალა თოფმა, და  
ორი მგელი დაეცა. კიდევ  
რამდენიმეჯერ გაისროლა,  
რამდენიმე მგელი კიდევ  
დაეცა. ბოლოს შეჩერდა  
თოფის სროლა.

ოხ, რა საზიზღრები ყო-  
ფილან მგლები, ცოცხლები  
დახოცილებს მიესიენ...

ამ ლაპარაკის დროს  
ყორანა, რომელიც ახლა ძოვდა ბალახს, მოვიდა და მიესალმა  
მათ.

— ვინ არის ჩვენ შორის მართალი? — შეეკითხა ციციუნია  
ყორანას.

— ბევრში მურიკაა მართალი. შურისძიება არ არის მოსა-  
წონი. მე თქვენზე უკეთესად მეპყრობა პატრონი. ხანდახან ჩვენც  
მოგველის კინკლაობა, მაგრამ მალე ვრიგდებით. აქ ციციუ-  
ნია იყო დამნაშავე, ქურდობაში დაიჭირეს, დასაჯეს, შური  
არ უნდა ეძია.

— განა მარტო მაგისტვის ვიძიე შური? — შეიღებო მომ-  
პარა, რა ვუყო, არ ვიცი. მურიკასაც ასე ვუყო, მაგრამ ვე გაჩუ-  
მებულა, მონაა, ითმენს, მე კი... ცხარობდა ციციუნია.



— ყური დამიგდეთ — უთხრა ყორანამ. ჩვენ პატრონს ვე-  
მსახურებით სამივე, მის ხაოჯზე ვართ, ისიც თავისი სურვილით  
განაგებს ჩვენი შვილების ბედს. მე რომ მკითხოთ, <sup>მეც ვიყავი</sup>  
ბაშიც ასე ვირჯები: წელიწადში ერთ შვილს ვიჩენ და არა  
წ — წ. სჯობს ერთი იყოს ჯანით, გონებით და გრძნობით კარ-  
გი, ვიდრე მრავალი და უხეირო. ძალლი თუშკა ერთგულია,  
მაგრამ მონაა. კატა არაა მონა, მაგრამ ქურდი და გაუტანელია.  
მე სწორედ პატრონს ვუჭერ მხარს.

— მე არ ვუჭერ მხარს, — ცხარობს ციცუნია, — ჩემი შვი-  
ლები არა თუ მე, არამედ მის შვილებსაც ართობენ. მე თვითონ



ცოტას ვაკეთებ? თუ მუ-  
რიკა სახლს გარეთ დარა-  
ჯობს, მე შიგნით მთელი  
ღამე არ მძინავს. ყველა  
ბნელ კუთხეებს შევანათებ  
ჩემ თვალებს და თუ თვალი  
მოვკარი წრუსუნებს, შავ  
დღეს დავაყენებ. თავი დიდ  
ზარალს აყენებს პატრონს,  
რასაც ჭამს, ზომ ჭამს, ორ  
იმდენს აფუჭებს, ტანისა-  
მოსს და წიგნს ჭრის, ზოგი  
წიგნი, უკაცრავად არ ვიყო,  
ჩემო ყორანავ, შენზე უფრო  
ძვირია. აი, ამისთანა სარ-  
გებლობა მომაქვს პატრო-

ნისათვის, ის კი ჩემი შვილების ბედს თავის გემოვნებაზე  
წყვეტს, — საყვედურით თქვა ციცუნია.

— მე ვიცი ყველაზე უკეთ შენი ამბავი, — მიუგო მურიკამ.  
შენ რომ მართლა ქურდებიდან იცავდე, როგორც ამბობ, მაშინ  
რალაცა ქათმის ბარკალზე როგორ დაგიწყებდი ჩხუბს, მაგ-  
რამ ამას არ შერები, განებივრებული ხარ, სულ მუთაქაზე და  
ბალიშებზე მოკალათებული ბრძანდები. გაძლები, წამოწვები  
მხართეძოზე, იზლანებთ, თავგმა არა თუ ახლოს ჩამოგიაროს,  
თავზედაც რომ გადაგახტეს, ხმას არ გასცემ. ასეთი მუქთა-  
ხორა ხარ.

— შენ რომ უკანა ფეხებზე დადგები და ისე ელაქუცები  
პატრონს, თვალეში შეჭყურებ, იქნებ რამე მიწყალობოსო, მე  
ეს არ შემიძლია, არც ვიკადრებ!

— აი, შე უსინდისო! — უბასუხა მურიკამ, — მე თუ მორი-  
ღებით ვთხოვ პატრონს, ეს უფრო პატიოსნად მიმაჩნია, ვიდრე  
მოპარვა და მუქთახორობა.

— მე ვხედავ, თქვენ ერთმანეთის მტრები ხართ და ვერ  
მორიგდებით. მე შემიძლია მხოლოდ ერთი გირჩიოთ: როცა  
დაინახო ციკუნის მოპარული მიჰქონდეს, მიუყუდე, პატრონი  
გაიგებს და მოთხოვს მაგას პასუხს; შენ კი, ციკუნია, თუ გინდა  
შვილები დახარდო, თავი მოუყარე შენისთანა დედებს და  
ყანაში წადით, სადაც თავგებია. ინადირეთ, პატიოსანი შრომით  
თავს ირჩინეთ. ქურდობა არ შეგვრჩება, ერთხელაც იქნება დაგი-  
ქვრენ და ცუდ დღეს დაგაყრიან.

ამ დროს დიასახლისი დაბრუნდა, დაინახა მურიკა ხის ძირ-  
ში ყფფდა, მიხვდა, რაშია ციკუნია საქმე. მურიკა დაითხოვა,  
ციკუნია საცოდავად ჩამოკნაულა — მიშველეთ, ძლივს გაბედა  
ხიდან ჩამოსვლა და დიასახლისის ხელებში ჩაუხტა. პატრონი  
ძლივს იგერიებდა, მურიკა ფეხდაფეხ მისდევდა, ხან ზემოთ შე-  
ხტებოდა, ეხვეწებოდა: მომეცი ეგ ქურდი, მე გავასამართლებო,  
პატრონმა ძლივს მიიყვანა სახლამდის, მურიკას წიხლი ჰკრა,  
ციკუნია სახლის სახურავზე შეიგდო.

— ფუი, თქვენ სამართალს! გულდაწყვეტილ წარმოთქვა მუ-  
რიკამ და ზემოთ აიხედა, სახურავიდან ციკუნია ეშმაკურად  
გადმოხედა.

— დღეს გადამირჩი, მაგრამ მალე ჩამივარდები ხელში, არ  
გაპატიებ ამდენ ბოროტებას, დაგახრჩობ, დაგახრჩობ! — დამუ-  
ქრა მურიკა და გულის მოსაფხანად ყორანასთან წავიდა.

მას აქეთ ციკუნია როგორც დაინახავს მურიკას, თავ-  
ქუდმოგლეჯილი გარბის, მურიკაც გაფაციცებით თვალყურს  
ადევნებს, უნდა ხელში ჩაიგდოს. პატრონი ხედავს მათ მტრო-  
ბას, მაგრამ ვერ მიმხედარა, რამ გამოიწვია ეს.

ნინო ტყეშელაშვილი.

## ჩაგუტუნებული გასკანაგი

დახეთქილ კლდეთა შუაგულში გაშლილა ლილისფერი  
საძოვრები.

გაღვივებულმა მიწამ იგრძნო გახაფხულის სუნთქვა, გაი-  
ფურჩქნა სამყურა.

აბიბინდა ნორჩი ბალახი.

დანამულ მოღზე გასრიალდენ ფეხმარდი კენტრუშა ჯიხვები.

ხანჯლებივით ატეხილ კონცხებში დაიკვილა არწივმა და შურდულივით გაეკრა დანართხულ საძოვრებს. მოჩუხჩუხე მთის ნაკადის გაღმა დაიძრა ცხვრის ლილ ცხვარს ქოფაკი ძაღლები დარაჯებივით მიყვებოდნენ. გაიღვიძეს მთებმა.

ყვავილების სურნელოვან ყლორტებში აირია მთის ფუტკარი.

— ამბერკი!

— აქეთ, აქეთ გაშორეკე, აქეთ! — გადმოკვილა კონცხებიდან უფროსმა მწყემსმა პატარა ბიჭუნას.



მაღალ წიფნარის ძირიდან გაიშალა ცხვრის ფარა. მიღის კუნტრუ'შით მთების სიამაყე, წვერებცანცარა ყოჩი, ამაყად მიაბიჯებს.

მას მისდევს ათასობით ჩაბუტკუნებული ყაბარდოს ჯიშის ცხვარი.

— ბატკნები სად არიან?

— ხულაში.

— რატომ დატოვე?

— იაგორ! — მიუბრუნდა მოხუცებულ მწყემსს ამბერკი. იცი რა, პატარა ბატკნები არასდროს არ უნდა გარეკო ღიდებთან. იცი, რატომ? შენ გამოცდილი კაცი ხარ და ახსნა არ უნდა გჭირდებოდეს.

— მაინც, რაზე ამბობ?



— პატარები იღრჩობიან, ფეხით ითელებიან...

— მერე და შენ ცდილობ შეველას?

— ჰო, ნახე, მე უკან დავბრუნდები, შორიახლოს მივყავები ამბერკიმ გაღვლილ მკერდიდან ამოიღო ახლადმიღებული გაზეთი და ბიძასთან მოვიდა.

ისინი ჩამოსხდნენ გაკვირტულ ბუჩქთან.

იაგორმა ჩაიკინა და ბოხი ხმით დაამატა:

— ეგრე, შეილოსა, რა, მეც ეს მინდა. ცხვარმა ისე უნდა იმრავლოს მთაში, რომ ბალახის საძოვარზე სულ სიმინდის მარცვლივით გყაროს.


გახელებული მდინარე დაუნდობლად მიარღვევს ხეცუვებს. ჩამოგლეჯილ ფერდობებში კუნტრუშა ბატკნები აბლავლდნ.

დიუა ბარდას ველარ წიწქნიდა.

ამბერკიმ ქვევიდან შემოურბინა:

— წადით, წადით, პატარებო!

აირბინეთ, ჩქარა, მხოლოდ, თუ გინდათ, რომ ბუჩქნარებთან დედეული გეამბოროთ.



ბაღნები ბლავილით ავიდნენ ზევით იქ, სადაც ძია იაგორი ცხვრის ფარას აძოვებდა...

ამბერკიმ ყველა თავის დედასთან მიიყვანა.

— აბა, ცუგრუმელებო! მოწოვეთ ჯიქნები, რომ დაიხარდოთ და იცოცხლოთ! აბა, ჩქარა, თორემ ისევ წაგიყვანთ.

იაგორი ხარხარებს.

— ყოჩაღ, ამბერკი! მართლა მოდიქრებული ბიჭი ხარ. წინა-დღეებში მართლაც ჩვენი ბრალი იყო თორმეტი კრავის სიკვდილი, ახლა კი...

— ბიძია იაგორ! იცი, რა ვითხრა?

— ჰო!

— თუ ხელს არ შემიწყობთ, კედლის გაზეთში დაგწერთ სუყველას.

მოხუცმა მწყემსმა კვლავ მადიანად ვადიხარხარა და პატარა ბიჭუნას ხელი გადაუსვა თავზე.

აკაკი გოციჩიძე.

გაზაფხულის ვარდ-ყვავილებს:  
 იასამანს, ზამბახსაო,  
 ნაკადული მოუთხრობდა  
 რაღაც მძიმე ამბავსაო.  
 იცით, დილას, ყვავილებო,  
 რა მიამბო სიომაო?  
 სამუდამოდ მიიძინა  
 ბავშთ მგოსანმა შიომაო.  
 ყვავილებო, გავისენოთ  
 მისი ტკბილი ამაგიო,  
 ყველა ბავშვთა ჟურნალებში  
 ჩვენ გვეჭირა ალაგიო.  
 ჩვენის ენით ამღერებდა  
 ყველა ქართველ ბავშვებსაო,  
 შრომის ქვეყნის ნორჩ თაობას,  
 ქალებსა და ვაჟებსაო.  
 თურმე, როცა ბუნებაში  
 ბატონობდა ზამთარიო,  
 შიოც მაშინ გარდაცვლილა,  
 აი, მისი ამბავიო!  
 ყვავილებსაც გაახსენდათ  
 ძია შიოს კალამიო,  
 და მიუძღვნეს საბოლოოდ  
 სრემლიანი სალამიო.

ა. მარკოზაშვილი.

## ხუთი პარკი პარკიდან

(ზღაპარი)

მუხუდოს ერთ პარკში ხუთი მარცვალი იჯდა.  
 ისინი ერთიმეორის გვერდით ისხდნენ, ერთმანეთს მჭიდროდ  
 მიკვროდნენ და ძალიან მოწონდათ თავისი ბინა: დღისით ნათე-  
 ლი იყო, ღამით ბნელი, მყუდრო, სასიამოვნო, — ყველაფერი  
 რიგზე იყო.

თვითონ მარცვლები მწვანე იყო, პარკიც მწვანე და ისინი  
 ფიქრობენ — მთელი ქვეყნიერება მწვანეაო (ეს სავსებით გასა-  
 გებია).

მზისა და წვიმის წყალობით მუხუდოს პარკი იზრდებოდა და იზრდებოდა და უფროდაუფრო გამკვირვალე და სუფთა ხდებოდა, მარცვლებიც იზრდებოდნენ და სულ იბერებოდნენ და იბერებოდნენ, — აბა ხომ უნდა გაეკეთებიათ რაიმე!

თუმცა ძალიან კარგად გრძობდნენ თავს შინ, მარცვლებს ხანდახან მაინც სურდათ სხვა რაიმე.

— უპ, ძალიან დიდხანს ვზივართ აქ, — თქვა ერთხელ ერთ-მა მარცვალმა. — ასე ხომ შეიძლება გავმაგრდეთ კიდევ. აბა რა არის ამაში კარგი? თავი და თავი კი ის არის, რომ, ჩემი აზრით, ჩვენი სახლის იქით კიდევ უნდა იყოს რაღაც... უეჭველია, რაიმე იქნება.

გავიდა კვირა. მარცვლები გაყვითლდა, გაყვითლდა მუხუდოს პარკიც.

— ეპ, მთელი ქვეყნიერება ყვითლდება, — ამბობდნენ მუხუდოს მარცვლები.

უცებ — ძლიერი ბიძგი: ადამიანის ხელმა მოწყვიტა მუხუდოს პარკი და ჯიბეში ჩაღვა.

— აი ახლა კი მალე გავთავისუფლდებით, — ამბობდნენ მარცვლები და ხმამაღლა მზიარულობდნენ.

— საინტერესოა ვიციოდეთ, რომელი ჩვენგანი წავა ყველაზე შორს, — თქვა ყველაზე პატარამ.

— ეპ, რაც მოხდება და მოხდება, — თქვა ყველაზე დიდმა ტკაც!

პარკი გასკდა და მარცვლები მზიარულად გაგორდნენ ბიქის ხელისგულზე.

— მშვინიერი მარცვლებია, — თქვა ბიქმა, — სწორედ ჩემი ანწლის ფოთლისაა.

იმან ჩაღვა ერთი მარცვალი და შეუბერა: მარცვალი გავარდა.

— მივფრინავ, მივფრინავ! — დაიყვირა მან. — დამიჭირეთ, ვისაც შეგიძლიათ, — და ის გაქრა.

გაფრინდა მეორეც. ის ყვიროდა:

— პირდაპირ მზეზე მივფრინავ! ეს სწორედ მომწონს.

— ჩვენ კი შევეცდებით სადმე აქვე მახლობლად დავვარდეთ და დავიძინოთ, — თქვა ორმა უფროსმა მარცვალმა თოფიდან გამოფრენისას.



— რაც მოხდება და მოხდეს, — გაიძახოდა უკანასკნელი ზევით აფრენისას.

ის მოხვდა ხის ძველი სახლის სახურავზე და ჩაგორდა შავი რბილი მიწითა და ხავსით სავსე ნახვრეტში.

სხვენზე ცხოვრობდა ქალი, რომელსაც ავადმყოფი პატარა გოგონა ჰყავდა. ის ქალი დღიური მუშაობით, მძიმე შრომით დადიოდა იმდენს, რომ როგორმე გამოეკვება თავისი თავი და ქალიშვილი.

გოგონა იყო გამხდარი, სუსტი, ნაზი, როგორც ყვავილი, ის იმდენად ავად იყო, რომ სიარული არ შეეძლო და მთელი დღეები უძრავად იწვა ლოგინში.

„ესეც მოკვდება, — ფიქრობდა დედა, — გამშორდება, როგორც ამისი და... ორი ქალიშვილი მყავდა, ერთი აღარ არის, მეორეც მალე აღარ იქნება... ოჰ, რა ძნელია განშორება!“ და ის გულამოსკვნილი ტიროდა, თან თავის გოგონას გასრეცილ სახეს მიჩერებოდა.



გაზაფხულდა. მხიარულმა და აღერსიანმა მზემ შეიხვდა ქერქვეშ მოთავსებულ ვითომდა ოთახში.

გოგონა გაიტაცა მზის სხივების ცქერამ.

— დედა, რა არის იქ, ფანჯრის იქით, მწვანე რომ მოჩანს?

— ჰკითხა დედას.

დედამ გააღო ფანჯარა და დაინახა რაღაც მცენარის სუსტი ღეროები.

— ეს, ალბათ, მუხუბლოა, — უპასუხა მან. — ალ-

ბათ, რომელიმე მარცვალი მოხვდა აქ და გაიხარა. აი ბაღიც გაგჩნდა.

და მან ფანჯარასთან მოსწია ტახტი, რომ გოგონა დამტბარიყო ნაზი მცენარით, და სამუშაოდ წავიდა.

— დედა, — ამბობდა საღამოს გოგონა, — ასე მგონია, თითქოს თანდათან უკეთ ვხდები. დღეს მთელი დღე გვათბობდა მზე მეც და მუხუბლოსაც. შეხედე, როგორი ცოცხალი და მწვანეა მუხუბლო, — აი, მეც გამოვკეთდები.

— ნეტავი მართლა, — თქვა დედამ, მაგრამ არ სჯეროდა  
კი ასეთი ბედნიერება.

რომ დაეცვა მუხუდო ქარისაგან, დედამ პატარა ჯოხი მიუ-  
სო მას და ჯოხიდან სახურავზე გაიყვანა მკედი, რომ მუხუდოს  
ღეროს შეძლებოდა აპყოლოდა მას.

ასეც მოხდა: მუხუდო იზრდებოდა, თავისი ყლორტებით  
ებლაუჭებოდა მკედს და სულ ზვეითკენ მიიწევდა; მისი ყვავი-  
ლიც გაიშალა.

მთელი დღე ტკებოდა გო-  
გონა მუხუდოს ცქერით და  
თანდათან უკეთესობა დაეტყო:  
ლოყები გაუვარდისფერდა, თვა-  
ლები უბრწყინავდა და სხვის  
დაუხმარებლად შეეძლო წამო-  
დგომა და ლოგინში ჯდომა.  
დედას იმედი მიეცა...



გავიდა კიდევ კვირა, და  
გოგონა აღგა. ოჰ, რა სიხარუ-  
ლით გააღო მან ფანჯარა და  
როგორ ნახად აკოცა მკრთალ-  
ვარდისფერი ყვავილის ფურც-  
ლებს! მთელ საათს იჯდა ის  
ფანჯარასთან და მზეზე თბე-  
ბოდა, — ოჰ, რა სასიამოვნო  
იყო ეს!

მაგრამ რა მოუვიდა დანარ-  
ჩენ მარცვლებს?

პირველი, რომელიც იქით მიფრინავდა, საითაც სურდა,  
საწვიმარ მილში ჩავარდა, იქიდან კი მტრედის ჩიჩახვში მოხ-  
ვდა. მტრედებმა ჩაყლაპეს ის ორი მარცვალიც, რომლებიც  
ოცნებობდნენ სადმე კარგად დაძინებაზე. რა ვუყოთ, იმათ ტყვი-  
ლა არ გაუვლიათ კარი.

ის კი, რომელსაც მზეზე სურდა აფრენა, არხში მოხვდა,  
იქ მშვიდად იღვა ლამში და სინესტისაგან სივდებოდა.

— კი, მაგრამ როგორ მსხვილდები, — ამბობდა ის. — სულ  
უფრო და უფრო .. მგონი, მე მალე გავსკდები... ეს არ ღირსებია  
არცერთ მარცვალს, ამაში სავესებით ვარ დარწმუნებული. მე  
ყველაზე შესანიშნავი ვარ ხუთში...

და არხი სავესებით ეთანხმებოდა ამაში.

სხვენის პაწაწა ოთახის ფანჯარაში კი იდგა პატარა გოგონა, ვარდისფერი და ჯანმრთელი.

ის მზისკენ იშვერდა პატარა ხელებს და გაბრწყინებულ თვალებით მისჩერებოდა ქვეყნიერებას.


მანს ანდერსენიდან.

თარგმნილი შ. თაბუკაშვილის მიერ.


## მინგაში მხატვარი

„ოქტომბრელის“ რედაქციაში მოვიდა ერთი მხატვარი და თქვა:

— აი, რამდენიმე სურათი მოგიტანეთ, თუ დაბეჭდავთ თქვენს ჟურნალში. ეს უბრალო სურათები კი არ არის, „ოინებანი“ სურათებია.



მხატვარმა გვაჩვენა ერთი სურათი: კაცი ველოსიპედით და გვითხრა:




— ამ ველოსიპედის თვლები თავისით ტრიალებს.

მან სწრაფად დაატრიალა სურათი და, მართლაც, ველოსიპედის თვლები დატრიალდა.

— აი ეს კი ფუტბოლისტია. მე ის ისე დავხატე, რომ ვერ მიხვდებით, რომელი ფეხზე დგას ის — მარჯვენაზე თუ მარცხენაზე.

— აბა აქ რა ხატია, გიორგი, — მიმართა მხატვარმა რედაქტორს და მესამე სურათი აჩვენა.



— ორი მაიმუნი, — მიუგო რედაქტორმა.

— ეგ მართალია, მაგრამ ორი მაიმუნის გარდა აქ შავი ჯამიც არის დახატული. ხედავთ?

მაგიდაზე ეგდო მელნით გათხუპნული ქალაღლი. მხატვარმა აიღო ის და ხატვა უნდოდა.

— მოიცათ, სუფთა ქალაღლდს მოგცემთ, — თქვა რედაქტორმა.

— არა, არ მინდა, ამაზედაც დავხატავ...

მხატვარმა მელნის ლაქებს მოუხატა რაღაც-რაღაცები და მართლაც რამდენიმე სურათი გამოვიდა.

— ეგ რაა, — თქვა მხატვარმა. — მე შემოძლია უფანქროდ და უმელნოდაც ვხატო. მან ჯიბიდან ამოიღო შავი ძაფი და ისე გაშალა ქალაღლზე, რომ მთელი სურათი გამოვიდა.

# როგორ წააყვანინა ნუსამ ვირს თაჲნი ქალაქში

საქართველოს  
განათლებლის  
საზოგადოებრივი  
საბჭო

ზის ნუსა „ეტლში“ და მიყავს იგი ვირს. თბილა, მზე ანათებს, ხეებზე ვაშლებია.  
უცებ ვირი დადგა.



ნუსამ უთხრა ვირს: „შენი ქირიმე, ქალაქში ჩამიყვანე“ ვირმა კული გააქნია და არც განძრეულა.



ნუსამ მათრახი უჩვენა ვირს და უთხრა:

— ხედავ, მე რა მაქვს!

მაგრამ ვირმა ყურები გააპანტურა და შაინც არ დაიძრა.



მაშინ ნუსამ გამოხსნა ვირი ეტლიდან და მერე ისევ შეაბა, მაგრამ ისე, რომ ვირს კული წინ ჰქონდა.

შემდეგ ნუსამ მაკრატლით შეაჭრა ვირს ფაფარის ნაწილი. ვირი გაკვირვებული მიჩერებოდა.



ნუცა ისევ ჩაჯდა ეტლში, ფაფარიდან წვერ-ულვაში გაიკეთა და სახეზე მიიწეხა.



ვირს თვალეზი გაუფართოვდა, შიშით ელდა ეცა და უკან-უკან წავიდა.

ვირი უკან-უკან მიდიოდა და თან მიჰქონდა ეტლი. ასე ჩავიდა ნუცა ქალაქში,

ხარ-ხი.

## ი ც ი?

1. შეუძლია თუ არა თევზს ცხვრება?

არა, არ შეუძლია. თევზს ნესტოები არა აქვს, მათ ადგილას პატარა ჩაღრმავებულია, თითქოს პაწაწა ორმოაო, და აბა ორმოთი ხომ ვერ დააცხიკვებ.

2. ამთქნარებს თუ არა ხოჯო?

არა, არ ამთქნარებს. რატომ? იმიტომ, რომ ფილტვები არა აქვს. ხოჯო სუნთქავს არა პირით ან ცხვირით, არამედ პატარა ნახვრეტებით, რომლებიც გვერდებზე აქვს. ეს ნახვრეტები უერთდება ძალიან წვრილ მილებს, ვერცხვრეტებულ ტრახეებს, საიდანაც შედის ჰაერი ხოჯოს სხეულში.

3. რა მოუვა ბაყაყს, თუ მან ვერ შეძლო პირის მოკუმშვა?

როდესაც ბაყაყი სუნთქავს, პირი მუდამ მოკუმშული აქვს. ის ნესტოებით აგროვებს პირში ჰაერს, შემდეგ კი თითქოს ყლაპავს მას. თუ პირი გაღებულია, ჰაერს ვერ გადაყლაპავს, მაშინ სადამე, მაშინ ბაყაყს სუნთქვა არ შეუძლია და მოკვდება.

4. ვინ გააკეთა პირველი წყალსაყვინთავი ზარი?

წყლის ობობამ. ის ქსოვს წყალქვეშ ქსელის ხუფს, რომელსაც ზარის ფორმა აქვს. ამ ხუფ-ზარში აგროვებს ის ჰაერს; ამ ობობას სხეული ბუსუსებით აქვს შემოსილი და სწორედ

ამ ბუსუსებშია ჰაერი. ზის ობობა წყალქვეშ და სუნთქავს არ ხეინად. როდესაც ჰაერი შემოაკლდება, ზევით ავა, ბუსუსებში ისევ შევა ჰაერი, და ობობა ისევ შეძვრება თავის წყალქვეშა ზარში. ობობას მიბაძა ადამიანმა, მისგან ისწავლა წყალსაყვინთავი ზარის გაკეთება.

5. რად ემალება ჭიაყელა მზეს?

ჭიაყელა კანით სუნთქავს. მისი კანი ლორწოიანია, სველია. მხოლოდ სველი კანით შეიძლება სუნთქვა. თუ ჭიაყელას კანი შეშრება, სოველი არ იქნება, ჭიაყელას სუნთქვა არ შეეძლება. მზეზე კანი შრება და ამიტომაც არ უყვარს ჭიაყელას მზე, ის კარგად ველარ სუნთქავს და იგუდება.

6. რას ჭამს ჩრჩილი, რომელიც ოთახებში დაფრინავს?

არაფერს არ ჭამს. ოთახებში დაფრინავს ჩრჩილის პეპელა. პეპლები ყვავილების ნექტარით იკვებებიან, რომელსაც გრძელი ხორთუმიტ წუწუნებან. ჩრჩილის პეპელას კი ძალიან მოკლე ხორთუმი აქვს. მატყლს და შალის ქსოვილებს თვითონ ჩრჩილის პეპელა კი არა ჭამს, არამედ მისი მური — პატარა ჭია. ჩრჩილს ნაფტალინით ებრძვიან. მის სუნს ვერ იტანს ჩრჩილი.

7. როგორ სუნთქავს წიწილა კვერცხში?

კვერცხის ნაქუქს ნასვრეტები აქვს, ე. წ. ფორები. ამ ნასვრეტებში შედის ჰაერი და წიწილა სუნთქავს. კვერცხს რომ ლაქი წავეუსვათ, ჰაერი იმაში ველარ შევა და ასეთი კვერცხიდან წიწილაც არ გამოტყდება.

6. პ-ი.

## რეზო

ძლიერ ცელქი ბიჭია  
ეს პატარა რეზო,  
ხმამალალი ყვირილით  
გააყრუა ეზო.  
დილას პირს არ დაიბანს,  
ისე მიდის სკოლაში,  
ყველა ტოლებს ერევა

იგი ჭიდაობაში.  
როგორ მოვაქკვიანოთ  
ეს ჩვენი ცელქი რეზო,  
დედას რომ არ უჯერებს,  
სხვას ვილას დავგიჯერებს!  
ლეილა თაბუკაშვილი.  
(მე-4 ჯგ. მოწაფე)

## ეს რა ცხოველია?

ბავშვები ზოობალში იყვნენ და იქ ბევრი, ბევრი ცხოველი ნახეს. ზოგი ძალიან დიდი იყო, ზოგი სულ პატარა.

— აბა დაასახელე ყველაზე დიდი ცხოველი.

— სპილო!

ციალას ძალიან მოეწონა ვეფხვი. „ნეტავი ჩემი ფისოც იმისთანა იყოს“ — ნატრობს ციალა. ნიანგი კი არ მოეწონა.

დაბრუნდენ ბავშვები საბავშვო ბაღში, ისადილეს, დაისვენეს და მკვდარი საათის შემდეგ დაიწყეს იმის გახსენება, რაც ნახეს ზოობალში.

ციალამ ისეთი ცხოველი აუწერა, რომ ყველა ბავშვი გაოცდა.

— გოგო, სად ნახე ასეთი ცხოველი?

— ზოობალში ვნახე.

— რა ქვია?

— მე რა ვიცი რა ქვია.

— არ არის ამნაირი ცხოველი და რა უნდა ერქვას. შენ, ალბათ, სიზმრად ნახე ის.

ბავშვებმა ბევრი იკამათეს და არწმუნებდნენ ციალას, რომ უცნაური ცხოველი სიზმრად ნახა.

ამ სურათზე ციალას ცხოველია დახატული.

იქნებ თქვენ თქვით, რა ცხოველია ეს?



საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათ-  
ლების სახალხო კომისარიატის ურველთვიური შუხნალი  
გავფვთათვის

## „ოქტომბრელი“

---

ჟურნალ „ოქტომბრელი“-ს უოველ ნომერში იბეჭდება სან-  
ტერესო ღექსები, მოთხრობები, ზღანრები და  
გასანრობები.

---

ურველმა ოქტომბრელმა უნდა გავოიფეროს და წაიკით-  
ხოს შუხნალი

## „ოქტომბრელი“

ჟურნ. „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.